ბიულეტენი

სამეცნიერო ჟურნალის ,,ქართული პოლიტიკა,, სპეციალური გამოცემა

ელენე ხარაბაძე

2015 #11

სერია: ეკონომიკური პოლიტიკა

ძვირფასო მეგობრებო,

კარგი მმართველობა - ფართო საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, სწორი, გონივრული გადაწყვეტილებების მიღება და მისი განხორციელების უზრუნველყოფაა.

საჯარო ადმინისტრირების სფეროში, სახელმწიფო, რეგიონულ, უწყებრივ, თუ ადგილობრივი მმართველობის დონეზე გადაწყვეტილებებს საჯარო მოხელეები იღებენ და, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად აქტუალურ თემებს „წამოწევენ" განსახილველად, ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის მდგრადი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება.

ჟურნალის სამეცნიერო რედაქცია მიესალმება და მხარს უჭერს თითოეული მოხელის მოსაზრებების, შეფასებების, დასკვნების სათანადოდ წარმოჩენას. რედაქცია, დადგენილი წესით, გამოაქვეყნებს მათი ავტორობით მომზადებულ საჯარო გამოსვლების ტექსტებს: პარლამენტის სხდომებზე; სამთავრობო ან ადგილობრივ ღონისძიებებზე; სამეცნიერო კონფერენციებზე; სემინარებზე და, რა თქმა უნდა, მათ მიერ გამოსაცემად მომზადებულ ცალკეულ სტატიებსა თუ წიგნებს.

მთავარი ამოცანაა: ნებისმიერი რანგის საჯარო მოხელის, პოლიტიკოსის არცერთი ღირებული, ინოვაციური, მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრება ან მოვლენათა სიღრმისეული ანალიზი არ დარჩეს განხილვის, გასაჯაროების გარეშე, რადგან, ამან, შეიძლება სერიოზულად დააზრალოს, როგორც სახელმწიფო, ისე, საზოგადოებრივი ინტერესები.

„ქართული პოლიტიკის" რედაქცია ღიაა სათანამშრომლოდ და მოგმართავთ სახელმწიფო მოხელეებს, პოლიტიკოსებს - ნუ მოერიდებით საკუთარი პოზიციის საჯაროდ დაფიქსირებას და გადმოგზავნეთ სათანადოდ რედაქტირებული ნაშრომი, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: info@georgianpolitics.com.

გამოცემების ციფრული ვერსია, საჯარო სამსახურის ბიუროს დახმარებით, უსასყიდლოდ, პერსონალურად მიეწოდებათ სახელმწიფო და საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ორგანიზაციებში დასაქმებულებს, საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, მეცნიერებს, წარჩინებულ სტუდენტებს. ის, აგრეთვე, განთავსდება ჟიული შარტავას სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლის პოლიტიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე: www.politlibrary.ge.

ამჯერად, რედაქცია, ცალკე ბროშურის სახით გამოსცემს ეკონომიკის დოქტორის, პროფესორის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის ხელმძღვანელის, ელენე ხარაბაძის ნაშრომს «სიახლეები საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშების პრაქტიკაში».

ყველამ ერთად შევუწყოთ ხელი „კარგი მმართველობის" განხორციელებას საქართველოში.

ელენე ხარაბაძე

სიახლეები საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების პრაქტიკაში

გამომცემელი: ქიული შარტავას სახელმწიფო
პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლა

საბაზრო ეკონომიკისათვის, განსაკუთრებით განვითარებული საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელია სააღრიცხვო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური ინფორმაციის მიწოდებას ამ ინფორმაციის ყველა მომხმარებლისათვის.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირება ხორციელდება როგორც ქვეყნის შესაბამისი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით, ასევე, ფინანსური ანგარიშგებისა (ფასს) და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით (ასს). ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების საკანონმდებლო და რეგულირების პრინციპებთან დაახლოებისა და ჰარმონიზაციის მიზნით, საქართველოში საჭირო გახდა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება.

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მიზნით საჭირო გახდა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში ინსტიტუციონალური ცვლილებების გატარება. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ (07.02.1995) და საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ (05.02.1999). ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ საქართველოს კანონით განისაზღვრა მისი ძირითადი მიზანი:

ა) საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა;

ბ) ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სახელმწიფო რეგულირებისა და თვითრეგულირების სფეროების განსაზღვრა;

გ) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება;

დ) ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის შექმნა.

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონების პრაქტიკულ ამოქნედებას ხელი შეუწყო აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (სიბლი ინტერნეშელის, ბარენც ჯგუფის, კარანა კორპორეიშენის) ერთობლივმა პროექტმა „ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმა საქართველოს საწარმოებში“ (GEAR), რომლის პარტნიორი გახდა „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია“ (**ბაფი**).

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველომ აღიარა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები და კერძო სამართლის იურიდიული პირები (მცირე საწარმოსა და არაკომერციული იურიდიული პირის გარდა) ვალდებული გახდნენ ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება ეწარმოებიათ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით.

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სფეროში სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოდ გამოცხადდა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რომლის კომპეტენცია განისაზღვრა: საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის

ბუღალტრული აღრიცხვის ნორმებისა და წესების დამტკიცება, შესაბამისი ინსტრუქციების, მითითებების გამოცემა და მათი პრაქტიკაში დამკვიდრება. ხოლო ბუღალტერთა დამოუკიდებელი პროფესიული ორგანიზაციების კომპეტენციას განეკუთვნა: ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ინტერპრეტაციების შემუშავება, ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტების შემუშავება, ბუღალტერთა კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული სერტიფიცირება.

მაშასადამე, საქართველომ ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნულ სტანდარტებად აღიარა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები, ხოლო კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სახელმწიფო რეგულირების დელეგირება მოახდინა პროფესიულ ორგანიზაციებზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში რეფორმები განახორციელა და მნიშვნელოვნად დაუახლოვდა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების საერთაშორისო პრაქტიკას, 2005 წლისათვის რიგი მიზეზების გამო, საჭირო გახდა საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა: საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ მოითხოვდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) გამოყენებას, რომელიც 2004 წლიდან შეიცვალა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით (ფასს). აუდიტორულ კომპანიებს მოეთხოვებოდათ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) გამოყენება, რომლის შესრულების მონიტორინგის განხორციელება არ ხდებოდა ხარისხის კონტროლის არ არსებობის გამო. ამ დროისათვის

არსებულ მარეგულირებელ სტრუქტურებს, საქართველოს პარლამენტთან არსებულ აუდიტორული საქმიანობის საბჭოს და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიას არ გააჩნდათ სტანდარტების დანერგვის მონიტორინგის განხორციელების მექანიზმები. შესაბამისი ცვლილებების პროექტის მომზადებაზე აქტიურად მუშაობდნენ საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი) და აუდიტორული კომპანიები.

2012 წლის 29 ივნისს საქართველოს პარლამენტმა საქართველოს მთავრობის ინიციატივით მიიღო საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“, რომელმაც განსაზღვრა საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სამართლებრივი საფუძვლები, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების პირობები და წესები.

ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიღების კვალობაზე, გაუქმდა საქართველოს კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ (07.02.1995) და საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ (05.02.1999). ასევე, 2013 წლის 1 იანვრიდან გაუქმდა სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოები, საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო და საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისია.

აღნიშნული კანონის რეგულაციები შეეხო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების მასშტაბს, მოქმედების არიალს. კანონით განისაზღვრა, რომ ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები შედგება სახელმწიფო სექტორის ბუღალ-

ტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისაგან. თვით კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები შედგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისაგან (IFRS), მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (IFRS for SMEs) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების ადგილობრივი (ეროვნული) სტანდარტებისაგან. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (IFRS) და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა, პროფესიის რეგულირება სრულად გადავიდა იმ აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის კომპეტენციაში, რომელიც ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრია. კანონში აქცენტი გაკეთებულია აუდიტორული საქმიანობის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დანერგვაზე და მისი განხორციელება აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის ვალდებულებას წარმოადგენს. რაც შეეხება ბუღალტერთა და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციების აკრედიტაციას, მას განახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი. ერთიანი საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრა აუდიტორებისა და პროფესიონალი ბუღალტრებისათვის.

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ გათვალისწინებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების

ამოქმედება 2015 წლის 1 იანვრიდან. კანონის ამ მოთხოვნის სრულად ამოქმედების მიზნით, აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციამ (ბაფ–ი) თარგმნა „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს)“, რომელიც მიმდინარე წლის 1 ივლისამდე გამოიცემა სტამბური წესით (სამ ნაწილად). ასევე, თარგმნის პროცესშია და წლის ბოლომდე დაისტამბება „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს)“–ის 2014 წლის გამოცემა. გარდა ამისა, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფ–ი) ამზადებს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების (დანართი 28) ფარგლებში პროფესიასთან დაკავშირებული მოთხოვნების პრეზენტაციას სახელმწიფო სტრუქტურების (საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროები, საქართველოს პარლამენტი) წინაშე.

მნიშვნელოვანია, რომ აღრიცხვის სისტემის რეფორმა მიმდინარეობს საქართველოს სახელმწიფო სექტორში. რეფორმის მიზანია:

- საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე (IPSAS) გადასვლა;
- საერთაშორისო სტანდარტებთან სრული შესაბამისობის მიღწევა 2020 წლისათვის;
- დარიცხვის მეთოდის სრულად ამოქმედება.

საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვა, დარიცხვის მეთოდით ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და ფინანსური ანგარიშგების მომზადება, რომელიც უზრუნველყოფს

საერთაშორისო სტანდარტებთან სრული შესაბამისობის მიღწევას, მნიშვნელოვანია სააღრიცხვო ინფორმაციის სრულყოფისა და მთავრობის ყველა დონეზე ფინანსური მართვის გაუმჯობესების თვალსაზრისით, იგი წარმოადგენს ინფორმაციის მომხმარებლებისათვის (საზოგადოება, ინვესტორები, კრედიტორები და ა.შ.) სახელმწიფო სექტორის ფინანსური ანგარიშგებისადმი სანდოობის ხარისხის ამაღლების გარანტს.

საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვის მიზნით, აღრიცხვის რეფორმას ახორციელებს სახელმწიფო ხაზინა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 3 ნოემბრის №701 ბრძანებით სახელმძღვანელოდ მიღებული „საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის სამოქმედო გეგმის" შესაბამისად.

რეფორმის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 19 თებერვლის №38 დადგენილებით შეიქმნა მთავრობის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანო „საქართველოს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭო" და დამტკიცდა საბჭოს დებულება. საბჭოს ევალება საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება.

სამოქმედო გეგმის მიხედვით, გარდამავალ პერიოდში ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები დაეფუძნება მოდიფიცირებულ საკასო მეთოდს და ეტაპობრივად მოხდება მისი ჩანაცვლება დარიცხვის მეთოდით. შესაბამისად, მოდიფიცირებული საკასო მეთოდის დასანერგად, საბიუჯეტო ორგანიზაციების სპეციფიკის გათვალისწინებით

შერჩეულ იქნა საპილოტე ორგანიზაციები და მომზადდა ფინანსური ანგარიშგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშების ინსტრუქციის პროექტები. პროექტების დახვეწა და საბოლოოდ ნორმატიული აქტის სახით ჩამოყალიბება მოხდა საპილოტე ორგანიზაციების 2010 წლის ბუღალტრული ანგარიშგების საფუძველზე, მოდიფიცირებული საკასო მეთოდით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების ანალიზის შედეგების გათვალისწინებით. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 8 აპრილის #97 ბრძანებით დამტკიცდა „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ფინანსური ანგარიშგების შედგენის წესი“. აღნიშნული წესის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების მიერ 2012 წლის წლიური ნაერთი ფინანსური ანგარიშგებები მომზადებული და წარმოდგენილი იქნა სახაზინო სამსახურში. ამ ფინანსური ანგარიშგებების ანალიზის საფუძველზე მომზადდა სახელმწიფო ბიუჯეტის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება ამ მეთოდით მოამზადა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციამ. ამჟამად ხაზინაში მიმდინარეობს აღნიშნული ანგარიშგებების ანალიზი და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების სამუშაოები. შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში შეტანილი იქნა ცვლილებები, სადაც გათვალისწინებულია ახალი მეთოდოლოგიით ფინანსური ანგარიშგების შედგენის სპეციფიკა.

რეფორმის წარმატებით განხორციელების ხელშემწყობი ღონისძიების სახით, ევროკავშირის მხარდაჭერის ფარგლებში, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციასთან (IFAC)

გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად და ამ ფედერაციის (IFAC) პოლიტიკის დოკუმენტების მოთხოვნების დაცვით, მთარგმნელებისა და ე. წ „მიმომხილველი კომიტეტის“ მიერ 2013 წელს განხორციელდა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) ქართულ ენაზე თარგმნა. სტანდარტების ოფიციალური თარგმანი მიმდინარე წლის მაისში განთავსდა სახელმწიფო ხაზინის ვებ-გვერდზე.

განხორციელდა საჯარო სექტორში დასაქმებულ ბუღალტერთა გადამზადება საჯარო სექტორის ბუღა-ლტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში (IPSAS). სახაზინო სამსახურის აღრიცხვის მეთოდოლოგიის და ანალიზის დეპარტამენტის მიერ პირველ ეტაპზე ჩატარდა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) შესავალი კურსი სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების ბუღალტრებისთვის, რომელიც ითვალისწინებდა მსმენელებისათვის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) ძირითადი პრინციპების გაცნობას, მოდიფიცირებული საკასო მეთოდის შესაბამისი მეთოდოლოგიის სწავლებას. შემდგომ ეტაპზე იგეგმება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გაძლიერებული სწავლება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრების გადამზადების მიზნით.

ევროკავშირის მხარდაჭერის ფარგლებში, არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული დარიცხვის მეთოდის შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვისა და ზოგადად, საჯარო სექტორში არსებული

არაფინანსური აქტივების მართვის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, 2013-2014 წლებში საერთაშორისო ექსპერტის და ადგილობრივი ექსპერტების მიერ განხორციელდა კვლევა, რაც ითვალისწინებდა გრძელვადიანი აქტივების აღრიცხვის და ანგარიშგების მდგრადი მეთოდის შემუშავებას საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, რეკომენდაციების შემუშავებას გრძელვადიანი აქტივების შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშესაწყობად. კვლევის პროცესში გრძელვადიანი აქტივების აღრიცხვის და ანგარიშგების სფეროში არსებული ადგილობრივი პრაქტიკის შესწავლის მიზნით, ექსპერტებმა შეისწავლეს სხვადასხვა უწყებებში არსებული პრაქტიკა, გაეცნენ არაფინანსური აქტივების აღრიცხვის და ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და სხვა. გარდა ამისა, კვლევის პროცესში გამოვლენილი გრძელვადიანი აქტივების აღრიცხვის და ანგარიშგების პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან არსებული შეუსაბამობების გაზიარების, ასევე, გრძელვადიანი აქტივების შესაბამისი საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გაცნობის მიზნით, საერთაშორისო ექსპერტის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა სემინარი. კვლევის შედეგად მომზადდა ანგარიში გრძელვადიანი აქტივების აღრიცხვის და ანგარიშგების შესახებ, რაც საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვის პერსპექტივის გათვალისწინებით, დეტალურად მოიცავს კვლევის პროცესში გრძელვადიანი აქტივების აღრიცხაში გამოვლენილ ნაკლოვანებებს, ასევე, გრძელვადიანი აქტივების აღრიცხვის და ანგარიშგების არსებული მეთოდოლოგიის სრულყოფის მიზნით ამ

აქტივების რეესტრის წარმოებისთვის გასათვალისწინებელ ძირითად მოთხოვნებს და რეკომენდაციებს საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.

რეფორმის ფარგლებში სახელმწფო ხაზინაში, ასევე, მიმდინარეობს სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის PFMS დანერგვა, რომლის მიზანია სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციებისათვის ოპერაციების განხორციელების გამარტივებისა და ოპერატიულობის გაზრდა. სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფს ფინანსური ოპერაციების წვდომას საბიუჯეტო პროცესში მონაწილე ყველა დაწესებულების მხრიდან, ერთიანი ანგარიშთა სისტემის გამოყენებით და ორმაგი ჩაწერის მეთოდით, სახელმწიფო ფინანსებთან დაკავშირებული ტრანზაქციების და ჩანაწერების ერთიან სისტემაში ინტეგრირებას და მთავრობის აქტივ-პასივების ბალანსის არსებობას დროის რეალურ რეჟიმში. რეფორმის ფარგლებში საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის და სახელმწიფო ხაზინის ერთობლივი მუშაობის შედეგად განხორციელდა ხაზინის მთავარი წიგნის შემუშავება. პირველ ეტაპზე დაინერგა შრომის ანაზღაურების მოდული და ამოქმედდა 2013 წლის 1 იანვრიდან, რომელიც უზრუნველყოფს საბიუჯეტო ორგანიზაციის მომუშავეთა ანაზღაურების, ბუღალტრული აღრიცხვის წესების შესაბამისად, დარიცხვის, დაკავების და ვალდებულების (კრედიტორული დავალიანების) დაფარვის ყველა ტიპის ბუღალტრულ გატარებას და ასახვას მთავარ წიგნში. ხაზინის მთავარი წიგნი იქმნება საბიუჯეტო ორგანიზაციების მთავარი წიგნების კონსოლიდირებით. სისტემაში განთავსებულია ასევე, „ალტერნატიული მთავარი წიგნი“, რომელიც ახდენს

ხაზინის მთავარი წიგნის მონაცემების დეტალიზაციას ოპერაციების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და სამეურნეო მოვლენის დეტალების მიხედვით; ორგანიზაციის მთავარ წიგნში სამეურნეო მოვლენის აღრიცხვის ბუღალტრული გატარებები შეიძლება მხოლოდ იმ ოპერაციებით, რომელიც სისტემაში განთავსებული ოპერაციების ცნობარშია მითითებული და აღწერილი. მონეტარული ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა სისტემაში ავტომატიზირებულია, ხოლო არამონეტარული ოპერაციების ბუღალტრულ აღრიცხვას ორგანიზაცია ახდენს ე. წ. „დამოუკიდებელ მოდულში“ (არაავტომატიზირებული ოპერაციების გასატარებლად) ცნობარის შესაბამისად ოპერაციის დარეგისტრირებით.

ელენე ხარაბაძე

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის ხელმძღვანელი

ავტობიოგრაფია

ელენე ასლანის ასული ხარაბაძე დაიბადა 1944 წლის 23 თებერვალს, სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში, პედაგოგების ოჯახში.

1950 წელს შევიდა დიდი ჯიხაიშის საშუალო სკოლაში, რომლის შვიდი კლასის წარმატებით დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა დიდი ჯიხაიშის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმში ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალობით. დიდი ჯიხაიშის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმის სრული კურსი წარჩინებით დაამთავრა 1960 წელს.

1961-1966 წლებში ელენე ხარაბაძე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტია ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალობით. 1968-1972 წლებში სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში. 1976 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: საქართველოს ღვინის მრეწველობის საწარმოო ფონდების გამოყენების ეკონომიკური ანალიზი და მათი ეფექტურობის ამაღლების რეზერვები.

1969-2006 წლებში მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუღალტრო აღრიცხვისა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზის კათედრის ჯერ ასისტენტად, შემდეგ კი, უფროს მასწავლებლად და დოცენტად. 1992-1997 წლებში იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბუღალტრული აღრიცხვისა და ეკონომიკური ანალიზის კათედრის გამგე.

2006, 2009 და 2012 წლებში კონკურსის წესით არჩეულ იქნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის პროფესორად და კათედრის ხელმძღვანელად, სადაც მუშაობს დღემდე.

2007-2009 წლებში იყო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, 2009-2012 წლებში - დეკანის მოვალეობის შემსრულებელი.

არის 90-მდე ნაშრომის ავტორი. დაჯილდოებულია ივანე ჯავახიშვილის მედლით, ღირსების ორდენით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ (07.02.1995);
2. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ (05.02.1999);
3. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ (29.06.2012);
4. ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგება სახელმწიფო სექტორში, სახელმწიფო ხაზინის საინფორმაციო მასალები, 2014;
5. ჭუმბურიძე ლ. „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირება საქართველოში, საერთაშორისო გამოცდილებისა და ევროდირექტივების საფუძველ-ზე“, ბიზნესი და კანონმდებლობა № 6, 2013 წ., გვ.27-36;
6. REPORT ON THE OBSERVANCE OF STANDARDS AND CODES (ROSC), Georgia Country Strategy and Action Plan for Accounting and Auditing Reform; CSInternational, March 2008
7. DISCLAIMER: INVESTMENT SECTOR GOVERNANCE IN GEORGIA, USAID ECONOMIC PROSPERITY INITIATIVE (EPI), 2011
8. http://www.ifac.org/; 3.02.2013

სარედაქციო ჯგუფი

ზურაბ ჯიბლაძე	პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
ანჟელა ბზიკაძე	პასუხისმგებელი რედაქტორი
ნათია ვადაჭკორია	მასმედიასთან ურთიერთობები
დალი ჯვარშეიშვილი	ტექნიკური რედაქტორი
გია არაბული	მხატვრული რედაქტორი
გიორგი ჯიბლაძე	კონსულტანტი
ირინე ბარამიძე	მხატვარ-დიზაინერი
ია გაჩეჩილაძე	კორექტორი

ჟიული შარტავა 1944 - 1993 წ.წ.

ეროვნული გმირი, წმინდა ბიოჩბის ოჯოს, ვახტანგ ბოჩბასლის პირველი ხარისხის და სხვა ორდენების ჯავალერი, ბენერალ-მაიორი

2014 წელს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში დაფუძნდა ჟიული შარტავას სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლა. ჟიული, ამავე უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტი და ასპირანტი იყო. მობილურობით, მან, აქვე დარჩა დისერტაციას მართვის ეფექტიანობის საკითხებზე.
ხელისუფლებაში ყოფნისას, ის ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობდა მეცნიერებთან. მისი ინიციატივით შეიქმნა ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფი, დაფუძნდა ,,ჯეი, ახალგაზრდული ჰორიზონტების შემსწავლელი, ხოლო შემდეგ, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირების და ჰორიზონტირების სამეცნიერო ცენტრები. მისი პატრონობით, სახელმწიფო - მართველობით საქმიანობაში პირველად დაინერგა სისტემური ანალიზის მეთოდი, ე.წ. ,,სისანი", რომელმაც, მთლიანად მეცვალა ქვეყნის ჰაბიონალური საქმიანობის შეფასების და მართვის არსებული პრაქტიკა.
ახალგაზრდობაზე ზრუნვა, ჟიულის სწორების ძირითადი მიზანი იყო. მისი უზარმაზარი ძალისხმევით, შავნაბადაზე, გაშენდა ,,ახალგაზრდული ქალაქი" დაფუძნდა ახალგაზრდა პოლიტიკოსთა თანამედროვე სასწავლებლები, სხვა სამეცნიერო და ჯელტრული ინფრასტრუქტურა, რომლის მსგავსი, მაშინ, მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში არ მოიძებნებოდა. მან, სწორებაში განგოლრსილა დიდი ქართველი მწერლის, ნოდარ დუმბაძის ოცნება და მდინარე ვერეს მიმდებარე ტერიტორიაზე საფუძველი ჩაუყარა ,,მზიურის" მშენებლობას, ხოლო, მობილურობით, ჩასთვალა მოზარდებს ,,აჩქარ" ენციკლოპედიური საბავშო ჟურნალზე, რომლის გამოცემა, მისი ტოტალური დევნის პირობებში, გმირობის ტოლფასი იყო.
მისი თაოსნობით აგებული მემორიალური ძეგლები ,,წითელ ხიდზე" და ,,ჩუხეში", ქართველ - აფხაზთა და მთლიანად ჯავასიელთა მეგობრობის სიმბოლოდ იქცნენ.
ჟიული შარტავას სახელმწიფო მოღვაწეობა ,,ჯერბი მმართველობის" მესანიმნავი მაგალითია, ხოლო გარდაცვალება - სამშობლოზე უსაზღვრო შეყვარებული ვაჟკაცის გმირული ნაბიჯი. მისი მოწამეობრივი სწორება, ღირსეულად შეფასა მისმა უნმინდესობამ, სრულიად საქართველოს-ჯთოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ, რომელსაც ბანაცხადა, რომ მან - ,,ჩვენი ქვეყნისთვის ძალზე მძიმე, უფალეს დროში, ისწორა ისე - თითქოს მთელ ტვირთს ღებულობდა საკუთარ თავზე".